ცნობის ფურცელი

№ 1723 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 ორშაბათი, 11 თებერვალი № 1723

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე —10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს —პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11 —1-ლ საათზე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“ ტელეფონი № 372.

მიიღება ხელის-მოწერა **1902** წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი
„მოამბე“
(წელიწადი მეცხრე)
ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

	კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ-გარეთ:
1 წლით	10 მ.	13 მ.
6 თვით	6 „	7 „
3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის ფურცელი“
(წელიწადი მეშვიდე)
ფასი გაზეთისა გაგზავნით:

	კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ-გარეთ:
1 წლით	6 მ.	9 მ.
6 თვით	4 „	7 „
1 „	75 კ.	90 „

ვინც **„მოამბე“**-ს მთელის წლით გამოიწერს, **„ცნობის ფურცელი“ სურათებიანი დამატებით** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი. წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ, 1-ლ აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება

რედაქცია და **კონტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქ., **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели.“**

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. კალლიზჲნ

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი-საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი № 679.** (0—9)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 8—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ხირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვების 5—6 საათამდე.

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—8 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

დღე-ღამობით ექიმების მორიგეობაა, ღამის 9 საათიდან დილის 7 საათამდე. მსურველთ შეუძლიათ სახლშიაც წაიყვანენ.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274. (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საექიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუღაევის სახლი.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ **„როინაშვილიიეულის“** ფოტოგრაფიისათვის, რომელიც ღირს ქმნილია **უმაღლეს იმპერატორებრივ** ჯილდოსა, მოწვეულია ახალი გამგე. შეიძლება შეკვეთა ყოველგვარი ფოტოგრაფიულის სურათისა, რომელიც თავის დროზე და გულმოდგინებით მზადდება. ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია, ხოლო მოსწავლეთათვის შეღავათიანი. ფოტოგრაფიას, რომელიც ყოველ-დღე ღია არის დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე, მრავლად მოეპოება მუშტართათვის საქართველოსა და კავკასიის შესანიშნავის ადგილებისა, ტიპებისა, მოღვაწეთა და ძეგლთა სურათები. (3—3)

ექიმი

ვახტანგ ღამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24

ქ. ბათუმში

იყიდება გაზეთი **„ცნობის ფურცელი“**

სპ. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიოს ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—11)

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ

საკერავს:

კაბებს, წამოსასხამებს საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს, (მეტკებს).

ბარონის ქუჩა, № 12 (10—10)

ახალი ამბავი

◆ კავკასიის მთავარ-მართებელი **თავ. გ. ს. გოლიცინი**, 9 თებერვალს, საღამოს ბაქოს მატარებლით ტფილისიდან ქურდამირში გაემგზავრა, საიდანაც შემახაში წავა. „კავკაზ“-ის სიტყვით, მთავარ-მართებელს თან ახლავან კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი გენერალი ბელიავსკი და მთავარ-მართებლის კანცელარიის ვიცე-დირექტორი პოლკოვნიკი ტროფიმოვი. მთავარ-მართებელი ტფილისში დაბრუნდება 13 თებერვალს საღამოთი.

◆ გუშინ, 10 თებერვალს, ტფილისის სასულიერო სემინარიაში მწირველი იყო მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი ალექსი ქალაქის ზოგიერთ სამღვდელოების თანა-მწირველობით. ეგზარხოსმა წირვის დროს აკურთხა არქიმანდრიტად სემინარიის ყოფილი ინსპექტორი ბერ-მონაზონი ნიკონდრი, რომელიც **სემინარიის რექტორად დაინიშნა.**

◆ უწმ. სინოდის განკარგულებით ტფილისის სასულიერო სემინარიის **ინსპექტორად** დაინიშნა გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ბ-ნი მიხეილ დობრონრავოვი.

◆ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა აღძრა კითხვა, რომ **ტფილისში ახალი საპატიმრო აშენდეს**. ამ საპატიმროს პროექტის გამოსარკვევად შესდგა ცალკე კომისია, რომელშიაც სხვათა შორის, გუბერნატორის წინადადებით, მონაწილეობა უნდა მიიღოს ტფილისის პოლიციმეისტერმა ბ. კოვალიოვმა.

◆ ტფ. საქალაქო საბჭო დღევანდელ სხდომაზე განიხილავს, სხვათა შორის, საკითხს **ავლაბარში პროგიმნაზიის** გახსნის შესახებ, სასწავლებელთა გამგე-კომისიის დადგენილებასა და ქალაქის გამგეობის დადგენილებას ქალაქის საყასბოზე საკვირაო დასვენების წესის შემოღების შესახებ.

◆ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ მიწვეულ პირებთან ერთად, გუშინ, 10 თებერვლის სხდომაზე, სხვათა შორის, ამოირჩია განსაკუთრებული კომიტეტი, რომელმაც გამგეობასთან ერთად უნდა შეიმუშაოს პროგრამა, თუ როგორ და რათი აღნიშნონ **ვ. ა. აბაშიძის** 25 წლის სცენაზე მოღვაწეობის იუბილეი.

◆ როგორც შევიტყვეთ, ქართულ სახალხო წარმოდგენების გამმართველ სექციას გარდაუწყვეტია იდღესასწაულოს ჩვენის ნიჭიერის არტისტის **ვ. ა. აბაშიძის** 25 წლის იუბილეი სახალხო თეატრში წარმოდგენის გამართვით. წარმოდგენაზე სხვათა შორის, ხალხს გააცნობენ მოკლედ ბ. აბაშიძის ცხოვრებას და მის მოღვაწეობას ქართულ სცენაზე ამ 25 წლის განმავლობაში.

◆ საყურადღებოა ის გარემოება, რომ თუმანოვის მეორე და მესამე ქუჩებს, გარს **ორი სასაფლაო** აკრავს: ერთი გერმანელებისა, რომელიც გახსნეს 1850 წელს და მეორე სომხებისა. გარშემო ორთავე სასაფლაოს მცხოვრებთა სახლები აკრავს, ისე რომ ორივე სასაფლაო შუაგულ ალაგას არის. ტფილისში სხვა ადგილებს მიექცა ყურადღება და ძველი სასაფლაოები სხვაგან იქმნენ გადატანილნი; ეს ორი ძველი სასაფლაო-კი ხალხის შუა გულს უბანში ხელ უხლებელი რჩება; სასაფლაოებიც სავსეა საფლავებით, ნამეტურ გერმანელებისა, სადაც ერთი გოჯი მიწაც არ არის თავისუფალი.

◆ თუმანოვის და სხვა ქუჩის მცხოვრებთ უკვე პრშველებიათ და ქალაქის გამგეობას ქუჩების მოკირწყვლა უკვე გადაუწყვეტია; ქუჩები დაუზომავთ, ფულიც გაუწერიათ უკვე ისე, რომ მცხოვრებლებს დაუწყვიათ გამგეობაში ფულის შეტანა და იმედია, ახლა-კი მალე ეღირსება ამ ლაფიან ქუჩებს შესაფერი მოკირწყვლა.

სასამართლო

წერილი ქუთაისიდან

8 თებერვალს სასამართლოს დარბაზი აივსო გარეშე მსმენელებით. წინა სკამები თითქმის სულ ქალებს უჭირავთ. დიდი დრო მოანდომეს მოწმების დარიგებას და დაფიცებას. ფიცის შემდეგ თავმჯდომარემ მიჰმართა მათ მშვენიერის სიტყვით.—საზოგადოთ თავმჯდომარე ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს ყველაზე: ის ყოველ კანონიერ საშუალებას აძლევს ბრალდებულებს და მათ ვექილებს დასაცავად. ბრალდებულნი დღეს უფრო დაღვრემილნი სხედან, თუმცა ლორთქიფანიძე ხან-და-ხან იცინის კიდეც. ამ დღეს ჰკითხეს მოწმებს საბრალმდებლო ოქმის მხოლოდ პირველი პუნქტის შესახებ. ჰკითხეს სულ ექვს მოწამეს.

1. პარმენ თვალჭრელიძე. ბოქაულმა ჯაიანმა გამომიგზავნა დარაჯები და გამაფრთხილა, ამაღამ თავს დაგესხმიან ავაზაკებიო. მე ამას დიდი ყურადღება არ მივაქციე ერთი იმიტომ, რომ რითი უნდა დამეცვა თავი? მეორე—არც მჯეროდა, რადგან ჯაიანთან უსიამოვნობა მქონდა და ვფიქრობდი დამცინის ან მაშინებს მეთქი. მესამეც იმიტომ, რომ რაკი პოლიციამ იცოდა ავაზაკთა განზრახვა, მისი მოვალეობა იყო ჩემი დაცვა. დავიძინეთ; უცებ გამომეღვიძა, თავს მადგა 4 კაცი შიშველი იარაღით ხელში. „არ ადგე, თორემ მოგკლავთო“, შემომძახეს და მე იძულებული ვიყავი უძრავად დავრჩენილიყავი. ორი ყაბალახ შემოხვეული იყო და ვერ გავარჩიე მათი სახე. ორი კარგად გავარჩიე: ყაბალახში გახვეული მოკვლას მიპირებდა და უკვე ასწია ხანჯალი ჩასაკრავად, მაგრამ ამ დროს ერთმა, რომელსაც სახეზე არაფერი არა ჰქონდა ჩამოფარებული, გააჩერა და ცოტა ხნის მეცადინეობის შემდეგ მოაშორა კიდეც; ამ რიგად გადამარჩინა სიკვდილს. ამ დროს ჩემი პატარა ბავშვი ატირდა, მივიდა ერთი ავაზაკთაგანი და აკვანს რწევა დაუწყო. გამომძიებელთან ორი ყაბალახიანი ვერ ვიცანი და დანარჩენი ორი კი, სამწუხაროდ, ვიცანი. ჩემი გადამრჩენელი იყო ი. აგიაშვილი და ბავშვს რომ არწევდა ის ალ. ლორთქიფანიძე. მე მოგახსენეთ, რომ ვიცან „სამწუხაროდ“-თქო მიტომ, რომ მე მრწამს რომ ავაზაკებს ცხოვრების ანორმალური პირობები ჰქმნიან და არ მინდოდა მათი დასჯა. მე ვიყავი გაჯავრებული პოლიციაზე, რომელმაც იცოდა ამბავი და ზომები კი არ მიიღო. მე გუბერნატორთან ვიჩივლე, პოლიციამ ბრალი დამდო—მოიგონაო, თორემ არავინ არ მოხტომიაო და მე იძულებული გავხდი მეძებნა ავაზაკებისათვის და დამემტკიცებინა ჩემი სიმართლე.

აჩვენეს ბ. თვალჭრელიძეს წაღებული ნივთები, რომლებიც თავის საკუთრებად იცნო.

ს. ჯაიანი (ბოქაული). ემოწმება თვალჭრელიძეს გაფრთხილების შესახებ.

3. ცირიკიძე. (მოსამსახურე თვალჭრელიძისა) ამოწმებს თვალჭრელიძის ჩვენებას, მხოლოდ რევოლვერი ვერ იცნო თვალჭრელიძის საკუთრებად.

4. ხურციძე (მოსამსახურე). ამოწმებს მათს ჩვენებას შესახებ გაფრთხილებისა; იმ ღამეს ეძინა და არაფერი გაუგია.

5. დიდიბერიძე (მოსამსახურე ქალი თვალჭრელიძისა). ამოწმებს თვალჭრელიძის ჩვენებას; ხოლო უარს ჰყოფს: ვითომ ლორთქიფანიძე არწევდა და აჩუმებდა ბავშვსაო.

6. ნ. თ. დადიშქელიანი (ქუთ. მაზრის უფროსი). მე აქ ვარ მაზრის უფროსად 1899 წ. აგვისტოდან და 1900 წ, ნოემბრამდე ჩემს მაზრაში ავაზაკობა არ მახსოვს. ხოლო ნოემბერში და დეკემბერში მოხდა რამდენიმე ავაზაკობა. ყველანი ამბობენ, ამას სჩადიოდა ალ. ლორთქიფანიძის ბრბო; ლორთქიფანიძე ცოტა ხნის წინად გაექცა დარაჯებს. გარეგან ნიშნებსაც ამბობდნენ ავაზაკისას, რომლებიც ლორთქიფანიძეს მოაგონებდნენ კაცს, მაგრამ მაინც დარწმუნებული არ ვიყავი, სანამ არ გაძარცვეს კულაშში ელაშვილი; ამის შემდეგ ერთი ავაზაკთაგანი, დუდუჩავა და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭრილ იქმნა და მე თვითონ ჩამოვართვი მას ჩვენება და მან მონაწილეებად დაასახელა ალ. ლორთქიფანიძე და ივ. აგიაშვილი; მეოთხეს გვარი არა სთქვა.—კნ. რუსკანა წულუკიძისამ მითხრა: მართალია ვძლევდი ბინას; მაგრამ რა უნდა მექნა, ჩემი შვილიც ერია მათში და მუქარისაც შემეშინდაო. ვალ. წულუკიძე გაქცეული იყო და მხოლოდ შემდეგში ნათესავთა ჩაგონებით გამოეცხადა მთავრობას. ილიკო წულუკიძემ, როგორც მითხრა რუსკანა წულუკიძისამ, აგიაშვილს და მის ამხანაგებს მოუტანა თავისი თოფი, პატრონები და მერე ყველა ერთად წავიდნენ სადღაცაო. ილიკო უარზე იდგა, თქვა კი, რომ აღმოჩენილი პატრონები dum-dum ჩემია, მაგრამ ვინმე მომპარავდაო. მე ვიცი, რომ მთელს მაზრაში ისეთი თოფი და ტყვიები dum-dum მხოლოდ ილიკოს მამას ჰქონდა, რომელსაც უგანათ. თავ. მინგრელსკიმ აჩუქა. თოფი ილიკომ ველარ წარმოგვიდგინა.—რუსკანამ მითხრა, რომ ილიკო უფუჭებს მას შვილს, რომელთანაც ერთად დადის მისი (რუსკანას) გერის დუქანში და იქ ვიღაცეებთან ქეიფობენო. ეს მე აგენტებისაგან გავიგე. ისე ჩემს აქ ყოფნაში მე ილიკოსათვის ცუდ-კაცობა არ შემინიშნავს. ალ. ლორთქიფანიძესაც „ყაჩაღობა“ არ უყვარდა: ის ყოველთვის გაჭირვების დროს სტოვებს თავის ამხანაგებს; ასე მოიქცა ქუთაისის ახლო ჭომაში, სადაც აგიაშვილი დაჭრილ იქმნა; საჩხერეში, სადაც მოჰკლეს მისი ამხანაგი ჩხეიძე, გულაში — სადაც დასჭრეს და დაიჭირეს დუდუჩავა და აგრეთვე ბათუმშიაც.

სხდომა 4 საათზე გათავდა და გადაიდო შემდეგ დილისათვის.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

9 თებერვალი

პეტერბურგი. 8 თებერვალს ერმიტაჟის თეატრის წარმოდგენას დაესწრნენ მათი უდიდებულესობანი. თორმეტის ნახევარზე ერმიტაჟის დარბაზში ვახშამი იყო გამართული. სამის დასასრულზე მათი უდიდებულესობანი მოსასვენებლად წაბრძანდნენ; სტუმრებიც ამის შემდეგ დაიშალნენ.

მოსკოვი. მეღვინეთა კრების სხდომები, რომელიც 10 თებერვალს უნდა დაიწყოს, გარდა თავად-აზნაურთა საკრებულოსი, გაიმართება აგრეთვე თავად-აზნაურთა კლუბის სადგომშიაც. მღვდელი ტომაკევიჩი სასარგებლოდ ხედავს, რომ საეკკლესიო ღვინის მომზადების დროს დაესწროს მეთვალყურე. ს. ნ. ლეენევიჩი წინადადებას იძლევა დაარსონ მევენახეობის და მეღვინეობის სპეციალისტთა და ინსტრუქტორთა თანამდებობა.

პეკინი. პეკინის ოფიციალურს გაზეთში 6 თებერვალს გამოცხადებულია ქვრივ დედოფლის ბრძანება, რომელშიაც გამოთქმულია სინანული იან-იუს გარდაცვალების გამო, რომლის შვილები დაჯილდოვებულნი იქმნებიან მამის დამსახურების გამო.

სარატოვი. საგუბერნიო საკრებულომ გარდაეცა 240,000 მ. მუშა საქონლის გამოსაკვებად, და 65,000 მან საზოგადო სამუშაოებისთვის

ნიჟნი-ნოვგოროდი. საქალაქო და სამაზრო პოლიციას ღვინის მონოპოლიის საქმის გამო შრომისათვის დაენიშნათ ჯილდოთ 3,500 მან.

საქმეთა მმართველობამ არ დაამტკიცა ექიმი ქალი სამაზრო საერობო სავადმყოფოში.

მოსკოვი. ბელგიის საზოგადოების თოფის პატრონების ქარხანაში აფეთქება მოხდა; მძიმედ არიან დაჭრილნი ორი მუშა-ქალი; ერთი კინაღამ დაიწვა.

პეტერბურგი. მალოროსიულ ენაზე ახალის აღთქმის გამოცემის შესახებ უწმინდესი სინოდი იუწყება, რომ უკანასკნელ ხანებში ამ საგანზედ შუამდგომლობა არა ყოფილა, ხოლო წინანდელი შუამდგომლობანი უყურადღებოდ დატოვებულ იქმნენო.

ბათუმიდან, ხარკოვიდან, ორბიტიდან, კალუგიდან და ჩერნიგოვიდან იუწყებიან, რომ გოგოლის ხსენების დღის სადღესასწაულოდ ემზადებიან.

ნიჟნი-ნოვგოროდი. გემების პატრონებმა ბირჟის კომიტეტს მიართვეს კოლექტიური განცხადება, რომ საჭიროა ვოლგაზე დაწესდეს გემების და ხომალდების დაღუპვისაგან ურთიერთ დამზღვევი საზოგადოება.

სლავიანსკი. ჰფიქრობენ გახსნან ვაჟთა საშუალო საზოგადო განათლების სასწავლებელი.

სევასტოპოლი. საურთიერთო კრედიტის საზოგადოების კრებამ დაადგინა, წევრებმა დაუმატონ 5 პროცენტი კრედიტისა, რომ შემდეგში ბანკს ჰქონდეს არსებობის სახსარი, და შეუდგნენ საბჭოსი და მმართველობის დამატებითი წევრების არჩევას.

ზღვა საშინლად ღელავს.

ბიისკი. ამ დღეებში ბიისკზედ და გორნი-ალტაიზედ გაიარა მონგოლიაში გარეული მხეცების სასყიდლად გაგენბეკის ფირმის წარმომადგენელმა ჰამბურგში. წარსულ წელს ამ ფირმამ ალტაიზედ გაატარა გობიდგან, სხვა მრავალ გარეულ პირუტყვთა შორის, 52 გარეული კვიცი და ფრინველთა ტყავების კოლექცია.

კიევი. გავლით დაათვალიერეს კიევი ჩეხიის მრეწველთა წარმომადგენლებმა. ამ მოგზაურობის მიზანია—რუსეთთან ვაჭრობა გააძლიერონ. კიევში და აგრეთვე იმის მიდამოებში არის სასოფლო-სამეურნეო იარაღების ფაბრიკები, რომლებიც ჩეხებმა დააარსეს. ჩეხელმა სტუმრებმა დაათვალიერეს საკომერციო სასწავლებელი, რომელიც დაარსა ვაჭართა საზოგადოებამ. საზოგადოებამ სადილი გაუმართა სტუმრებს.

ვარშავა. რუსეთის მრეწველობის და ვაჭრობის დამხმარებელი საზოგადოების ვარშავის განყოფილება მოწადინებულია დააარსოს სამუდამო დამზღვევი დელეგაცია, რათა ერთად შეიმუშაონ კითხვები, რომლებიც დაზღვევის საქმეს ეხებიან და მთავრობის წინაშე შუამდგომლობს, რომ მოსპობილ იქმნეს პეტერბურგში საზოგადოებათა შეთანხმება, რომელიც მიმართულია დამზღველთ. ინტერესების წინააღმდეგ.

საერობო საკრედიტო საზოგადოებამ დანიშნა გასყიდვა, გადასახადის შეუტანლობისა გამო 75 მამულისა ვარშავის და 52 პეტრაკოვსკის გუბერნიებში

ლოზოვაია. შეიპყრეს ავაზაკთა ბრბო, რომელიც რკინის გზებზე მოქმედებდა; იმათი ბინა აღმოაჩინეს; ბევრი ნივთები იპოვეს.

10 თებერვალი

პეტერბურგი. ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის დეპუტაცია 8 თებერვალს ზამთრის სასახლეში მათ იმპერატორებითი უდიდებულესობათ წარუდგა უქვეშევრდომილესი მადლობის მოსახსენებლად. ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფა დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული ნაშუადღევს 2½ საათზე დეპუტაციასთან გამოვიდნენ და შინაგან საქმეთა მინისტრმა დეპუტაცია მათ უდიდებულესობათ წარუდგინა, წარდგენის შემდეგ ქუთაისის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელმა, ხელმწიფე იმპერატორის ნება-რთვით, ადრესი წაიკითხა. ხელმწიფე იმპერატორმა დეპუტაცია შემდეგის სიტყვებით გაბედნიერა: ხელმწიფე-დედოფალმა და მე სიამოვნებით მოვისმინეთ თქვენი ადრესი და მადლობას გიცხადებთ ადრესში გამოთქმულ გრძნობებისათვის და ქუთაისის თავად-აზნაურობის ასი წლის ერთგული სამსახურისათვის. იმედი გვაქვს, რომ მალე გნახავთ კავკასიაში. მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი ამის შემდეგ მოწყალედ ელაპარაკნენ დეპუტაციის ზოგიერთ წევრთ და მერე ისევ შიდა ოთახებში შებრძანდნენ. დეპუტაციის ყველა წევრები იმავე საღამოთი იმპერატორის ერმიტაჟის თეატრალურ დარბაზში წარმოდგენაზე დაჰპატიჟეს. წარმოდგენას მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანიც დასწრებიან.

„ჟურნალ დე პეტერბურგი“ იხსენიებს, თუ რა აზრები წარუდგინეს ევროპიელმა ელჩებმა შეერთებული შტატების მთავრობას ამერიკა-ესპანიის ომის წინად და ამბობს, რომ რუსეთის მთავრობა ნამდვილად მეგობრულად ექცეოდა შეერთებული შტატების მთავრობას და არ აჰყვა სხვა სახელმწიფოებს, რომლებმაც ვაშინგტონის კაბინეტის პოლიტიკა არ მოიწონეს. რუსეთის მთავრობას უნდოდა სასტიკად დაეცვა ნეიტრალიტეტი და კიდევ ერთხელ დაემტკიცებინა თავისი მეგობრობა ამერიკის ერისათვის, ეს მეგობრობა ხომ რუსეთს არა ერთხელ დაუმტკიცებია და სხვათა შორის, სამოქალაქო ომის დროსაც 1864 წელს გამოიჩინა, თუ რა მეგობრულად უყურებდა შეერთებულს შტატებს.

9 თებერვალს ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე-მემკვიდრემ არტილერიის მუზეი დაათვალიერეს პეტერბურგის ციხეში.

9 თებერვალს ხელმწიფე დედოფალმა მარიამ თეოდორეს ასულმა და დიდმა მთავრინამ ქსენია ალექსანდრეს ასულმა მაკოვსკის სურათებისა და ეტიუდების გამოფენა ინახულეს,

პეტერბურგის 200 წლის მომავალი იუბილეის სახსოვრად სახელოსნო სასწავლებელთა საზოგადოება არსდება.

ოდესა. მესამე დღეა შავი ზღვა ჰღელავს, დიდი ქარი ჰქრის. გემებს ძლიერ უგვიანდებათ მოსვლა. ბევრი გემი სულაც ვერა ჰბედავს ზღვაში გასვლას. სამხრეთში ყველგან სიცივე დაიჭირა. თოვლი არ მოსულა.

მოსკოვი. სამოსამართლო პალატამ ექიმი იანიშევსკის საქმე გაარჩია. იანიშევსკის ჰბრალდებოდა, რომ ნიჟეგოროდის ეპარხიალურ სასწავლებელში ექიმად ყოფნის დროს, არ გამოაცხადა თავის დროს, რომ ქუნთრუშას ეპიდემია დაიწყოო. ნიჟეგოროდის სასამართლომ გაამართლა იანიშევსკი, პალატამ კი დაადგინა, რომ იანიშევსკის ექვსი თვის სამსახური აღარ ჩაეთვალოსო.

ლონდონი. „სტანდარდ“-ს სწერენ პრეტორიიდან: 28 იანვარს დევეტმა 400 კაცით ლინდლეის დასავლეთით, ათი მილის მოშორებით, ბლოკჰაუზების წრე გაარღვია. დევეტი ჩრდილოეთისაკენ მიდიოდა, იმისმა რამდენიმე ჯარის კაცმა ეკლიანი მავთული გასჭრეს და მთელს რაზმს გზა გაუხსნეს.

„რეიტერის სააგენტო“ იუწყება, რომ დევეტი რეიცის ჩრდილოეთით იმყოფებაო და მდინარე ლიდენბერგელეის ნაპირების სიმაგრეებში იმალებაო; წინადაც აქ იმალებოდა ხოლმეო. ტყვე ბურები ამბობენ, რომ მეომარ ორანჟეს ბურებზე შტეინს მეტი გავლენა აქვს, სინამ დევეტსაო, ამიტომ შტეინის დაჭერასაც მეტი მნიშვნელობა ექმნებაო.

ხერსონი. ხერსონის პროვიზორების ამხანაგობა დაარსდა.

ირბიტი. ჩაი ცოტა იყიდება. ყინვაა. თოვლი მოვიდა და გზები გაკეთდა.

პოლტავა. ქალაქის გამგეობაში შეწირულებას ჰკრებავენ იმ აზრით, რომ პოლტავაში მეორე საქალო გიმნაზია გახსნან პუშკინის სახელობაზე.

ბაქო. შემახაში საპიორების ხელმძღვანელობით ნანგრევებს თხრა დაუწყეს. შემახის კომიტეტმა ხუთი კომისია დაარსა—მკურნალებისა, ხალხის საკვებად, გადასასახლებლად, ნანგრევთა სათხრელად და სახლების ასაშენებლად. ყოველ დღე კომიტეტის ხარჯით შემახიიდან ოჯახები ასობით მიდიან, უმთავრესად ბაქოში მიდიან. დაღუპულთა და დაჭრილთა სიებს ადგენენ. სულ 4,500 სახლია დანგრეული. დაზარალებულ სოფლების საშველად ცალკე რაზმი გაიგზავნა. შემახაში სიცივე დაიჭირა. მეორე დღეა თოვლი მოდის. სახადი და ქუნთრუშა გაჩნდა. ადამიანთა გვამების და საქონლის ლეშის სუნი დგას ყველგან. ზოგან ქურდობა მოხდა. თბილი სადგომი უჭირს ხალხსა. აქედან ქეჩებს და ბრეზენტებს ჰგზავნიან შემახაში. ეგ არის ცოტასა ჰგზავნიან. შეწირულებას კიდევ ჰკრებენ.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ხლ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 5 თებერვალს

ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ზე	94,00
ბერლინზე 100 მარკაზე	—
პარიზზე 100 ფრანკზე	—
ლონდონზე ჩეკები	94,65
ბერლინზე „	46,27½
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	96⅛ გამყიდვ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—
5% 1-ლი შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	478½ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	386½ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	313½ „
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	89¾
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის)

ა) **ტფილისიდან ბათუმისაკენ:** 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 6 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ პარასკეობით) ნაშუადღევს 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო—გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.) 3) სამგზავრო—გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ).

ბ) **ქუთაისიდან ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევს 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) **ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე** 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუდიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი კოლდლიუსტისა.

განცხადებანი

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში ისყიდება ორი წლის ნამყენი

ხეხილები.

ვაშლები, მსხლები, ატმები და ქლიავი—საუკეთესო ჯიშისა ჰაჯი-ისმაილ-ოღლის სანერგიდან. (3—3)

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.